№ 291. შაბათი, 23 აგვისტო 1896-1897 შაბათი, 23 აგვისტო № 291.

ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური სახალხო გამოცემა

რედაქცია:
ტფილისი, ფრეილინის ქუჩა, № 13.
ხელის მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიჰმართონ რედაქციას დილის 10 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე და „წერა-კითხვის გამ.
ხელ-მოუწერელ წერილებს რედაქცია არ ბეჭდავს.

პირისპირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველდღე.
ტელეფონი № 363.

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ნახევარის წლით 4 მან
თითო ნომერი 3 კაპეიკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონ იპირველ გვერდზე 10 კაპ.
მეოთხეზე 5 კაპ.

Редакція
„Цнобисъ Пурцели"
Тифлисъ, Фрейлинская № 13.
Телефонъ № 363.

ივანე ალექსანდრეს-ძე და ალექსანდრე გრიგოლის-ძე კობახიძენი

გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა გარდაცვალებას — პირველი მეუღლისა თვისისა, ხოლო მეორე რძლისა

სოფიო ნიკოლოზის ასულისასა

და სთხოვენ მობრძანდნენ, მიცვალებულის განსვენებაზე **კალოუბნის ეკლესიაში** შაბათს, 23 აგვისტოს, დილის 10 საათზე. მთაწმინდაში, ოვრაქსკის ქუჩაზე. (2—2)

ხელის-მოწერა
„ცნობის ფურცელზე"
რედაქციის გარდა მიიღება
ექ. ხელაძის სტამბის კონტორაშიაც
იქვე მიიღება მსურველთაგან განცხადებანი

ქართული თეატრის ამხანაგობის გამგეობა
ამით საყოველთაოდ აცხადებს,
რომ იგი დამდეგი სეზონისათვის იწვევს
ყველა სცენის მოყვარეთ, რომელთაც სურთ
ქართულ სცენაზე სამსახური
მსურველნი მიჰმართონ: პავლე როსტომის ძე ყიფიანს,
ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკში.

ამხანაგობა სთხოვს აგრეთვე ყველას, ვისაც-კი
ორიგინალი ანუ ნათარგმნი პიესა აქვთ ქართულ ენაზე
წარმოადგინონ თავის პირობით იმავე ადრესით: **П. Р. Кипіани.**
(10—2)

ექიმი კ. კ. თოფურიძე
ღებულობს ავადმყოფებს ყოველ-დღე
დილით—8—10 საათამდე **საღამოთი**—5—7 საათამდე
ხოლო სამშაბათს, პარასკევსა და კვირაობით საღამოთი
ღარიბებს უსასყიდლოდ სწამლობს
ელისაბედის ქუჩა, № 27 (თვალის სამკურნალოს გვერდით)
ДОКТОРЪ К. К. ТОПУРИДЗЕ
Пріемъ ежедневно. Елисаветинская № 27. (20—6)

თავ. დიმიტრი მაჭუტაძის და თეიმურაზ ჩაჩავას
ხე-ხერხის ქარხანა
კოდორი (სოხუმის ოლქში)

ქარხანა ღებულობს ყოველგვარ შეკვეთას დახერხილ ხე-ტყის მასალებისას. ქარხანაში გამართულია სახერხი მანქანები და სხვა-და-სხვა მოწყობილობა ამ საქმისათვის. ერთად-ერთი ქარხანა მთელს კავკასიაში, რომელიც ამზადებს

აბლის ფიცრებს

ყოველგვარ ზომისას, 3 არშინიდან მოყოლებული 12-მდე და აგრეთვე სხვა-და-სხვა სისქისა და განისა.

◦◦◦◦ ფასი მასალებისა მეტად იაფია ◦◦◦◦

უმთავრესი საწყობი ქარხნისა ქ. ბათომში.
მსურველთ შეუძლიანთ ქარხანას მიჰმართონ შემდეგის ადრესით:
ოჩემჩირეში თეიმურაზ ჩაჩავას, ბათომში თავ. დიმიტრი მაჭუტაძეს.
ფოსტის ადრესი: *Батумъ кн. Дим. Мачутадзе,* ანუ *Очемчиры, Т. Чачава.*
ЛѢСОПИЛЬНЫЙ ЗАВОДЪ кн. Д. Мачутадзе и Т. Чачава.
Кодоры (Сухум. окр.)
Главный складъ въ Батумѣ. 300—169)

ბანკის საზაფხულო ბაღი
გიორგი სხირტლაძისა
თავად-აზნაურობის მამულში (ქარვასლაში)

ყოველ-დღე ბაღში სეირნობა და თავ-შესაქცევება გამართული

დღისით შუადღიდან უკრავს სამხედრო მუსიკა

საღამოობით ნაშუაღამევამდე იმართება მრავალი შესაქცევი და მოსალხინებელი სიმღერები, თამაშობა, კუპლეტები, ცეკვა და სხვა, რისთვისაც მოწვეულია მომღერალ ქალთა და ვაჟთა საგანგებო ხორო, კუპლეტისტები, სცენების წარმომადგენელნი და სხვა

ბაღში მუდმივ იშოვება: **სასმელები**
საუზმე, სადილი, ვახშამი ყოველნაირი
!!იაფობა ყველაფერზე!!

ხორაგი მუდამ ახალია, მოსამსახურე მარდი და თავაზიანი.

„Банковскій Садъ" Г. Н. Схиртладзе
ОБѢДЫ, УЖИНЫ, ЗАКУСКИ.
ЕЖЕДНЕВНО АРТИСТИЧЕСКІЯ РАЗВЛЕЧЕНІЯ
(10—4)

გამოვიდა და ისყიდება
ახლად შეკვეთილი
სურათებიანი ფოსტის ქაღალდი
(აქვს ფერადად ამირანის სურათი)
ფასი თითო თაბახისა თითო კაპეიკი
ასობით 70 კაპ.
ვინც ერთბაშად 500 თაბახს იყიდის, იმას 3 მან. 50 კაპ. დაეთმობა.

უმთავრესი საწყობი: ქ. ბათომში მიხეილ გაჩეჩილაძესთან და დ. ყვირილაში ილია მაღლაკელიძესთან. მსურველთ შეუძლიათ ფას-დადებითაც გამოიწერონ.
г. Батумъ. М. Гачечиладзе. (15—3)

1897
ქართული თეატრი
სათავად-აზნაურო თეატრში
ოთხშაბათს, 27 აგვისტოს,
ქართველ სტუდენტების სასარგებლოდ,
ბ-ნ ვასო აბაშიძის რეჟისორობით
წარმოდგენილ იქნება:
I
ციმბირელი
კომედია 4 მოქმ. ა. ცაგარლისა.
II
დივერტისმენტი

სხვათა შორის მონაწილეობას მიიღებს გრ. აბაშიძე.

მონაწილეობას მიიღებენ: ქქ. ციციშვილი, საყვარელიძე, ვაშაკიძე, და სხვ.; ბბ. სვიმონიძე, მესხი, იმედაშვილი, შველიძე, ძნელაძე, ხოსროევი, ინასარიძე და სხვანი.

დასასრულ **ლეკური**, ანტრაქტებში დაუკრავს მუსიკა.
ადგილების ფასი ჩვეულებრივია.
დასაწყისი $8^{1}/_{2}$ საათზე.
რეჟისორი ვ. აბაშიძე.

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა.

დილაობით:

ყ. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: შინაგანი, თვალისა და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასიანცი, დილის 11—12 საათ. ქალთა სენით და ბავშვების ავადმყოფებს.

ა. ბ. კარაშეტიანცი. 1—$1^{1}/_{2}$ ს. შინაგანი და ბავშვებისა.

ა. გ. გურკო. დღით $1^{1}/_{2}$—$2^{1}/_{2}$ ს. შინაგანი, ყურის, ყელის და საშარდეს ავადმყოფობის.

საღამოობით

ა. მ. ზუდინოვი. 6—7 საათ. შინაგან, ბავშვებისა და ნერვებისა.

ტ. ი. რუდენკო — სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა — დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის — მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი, დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана*
Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

სამკურნალო და ამბულატორია
ს. ბ. თოფურიასი
ქუთაისში

სამკურნალოში 40 საწოლია ავადმყოფთათვის. მიიღებიან ავადმყოფნი: შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი.

გადამდებ სენით ავადმყოფნიარ მიიღებიან.

ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 სათამდე.

შინაგან და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს **ს. ბ. თოფურია.**

საქირურგიო ავადმყოფობას და სიფილისს **ფ. ქ. გერრატი.**

დედათა ავად მყოფობას მკურნალი ქალი **მ. თ. კოგანი.**

თვალების ავადმყოფობას — **ი. ქ. ვარშავსკი.**

ამბულატორიაში არის კაბინეტი, საქიმიო და საბაქტერიოლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისთვის და მასაჟისთვის.

სამკურნალოს დირექტორი **ს. ბ თოფურია.**
Лѣчебница *С. В. Топуріа* въ Кутаисѣ.

სასწავლებელი და საყმაწვილო ბაღი
ი. ოცხელისა
(ქუთაისში)

გამართულია კარფილომეკის სახლში, დადიანის ქუჩის შესახვევში.

სწავლა დაიწყება პირველ სექტემბრიდან, ყმაწვილები მიიღებიან სასწავლებელში მხოლოდ პირველ ოქტომბრამდე; საყმაწვილო ბაღში-კი ყოველ დროს მთელის წლის განმავლობაში.
(6—1)

დეპეშები

გაზეთ „ცნობის ფურცლისა"

რუსეთის სატელეგრაფო სააგენტოსაგან.

21 აგვისტო.

ვარშავა. საღამოზე ვარშავის ყველა ქუჩებზე გაჩაღებული იყო ჩირაღდნები. აუარებელი ხალხი ქუჩა-ქუჩა დასეირნობდა და ყველა ლაზენკის სასახლისკენ მიეშურებოდა. ლაზანკის ტბაზე დიდძალ ხომალდებზე მრავალი ხალხი იყო, რომელთა შორის ვარშავის მომღერალთა საზოგადოებამ რამდენიმე სიმღერები შეასრულა. ხელმწიფე იმპერატორმა მადლობა უთხრა ყველა მონაწილეთ.

20 აგვისტოს, დილის 10 საათზე, ხელმწიფე და დედოფალი დიდ მთავრებთან ერთად და ამალით ბრძანდებოდნენ საკათედრო წმ. სამების ტაძარში, სადაც დახვდნენ მათს უდიდებულესობათ ვარშავის ყველა საშუალო და დაბალ სასწავლებლების შეგირდები. ტაძარში მათს უდიდებულესობას სიტყვა მოახსენა ყოვლად უსამღვდელოესმა ფლავიანმა.

წმ. სამების ტაძარს შემდეგ მათი უდიდებულესობანი წაბრძანდნენ ახ-

ლად ასაშენებელ ტაძარში, აქედან გაბრძანდნენ მოკოტოს ველზე, სადაც დაათვალიერეს ჯარები, მერე დაბრუნდნენ ლაზენკის სასახლეში, სადაც გამართულ იყო საუზმე უმაღლეს პირთათვის.

ლაზენკის სასახლეში ნაშუადღევის 4 საათზე მოგროვდნენ ხელმწიფე იმპერატორთან და დედოფალთან წარსადგენად სასულიერო წოდების პირნი, სასახლისა და სხვა საპატიო მოხელენი, უცხოეთელი ელჩები, საქველ-მოქმედო კომიტეტის წევრნი, მარკიზ ვილეპოლსკის წინამძღოლობით, რომელმაც წაიკითხა სიტყვა, რომელშიაც სთქვა, რომ ამ ჟამად შეკრებილია ერთი მილიონი მან. თანხა, მათ უდიდებულესობათა ვარშავაში ჩამობრძანების სახსოვრადო. ხელმწიფემ ყველას მადლობა გადაუხადა მიღება-დახვედრისათვის. 5 საათზე წარუდგნენ დედოფალ იმპერატრიცას მანდილოსნები. დღეს საღამოზე დანიშნულია მეჯლისი გენერალ-გუბერნატორთან.

პარიჟი. მინისტრთა კრებამ გადასწყვიტა ფორის რუსეთში მოგზაურობის გამო ეპატიოს ყველა დამნაშავეთ მოქალაქოპრივი თუ სამხედრო დანაშაულიო. კრების შემდეგ პრეზიდენტი გაემგზავრა ჰავრში.

სტამბოლი. ხონთქრის ტახტზე ასვლის დღემ მშვიდობიანად ჩაიარა. შიშიანობის მიზეზი არაფერი არისრა, სომეხთა ბოროტ-მოქმედებას მეტი ძალა არა აქვს და არც საშიშოა.

* * *

ახალი ამბავი

⁂ **მამასახლისის მნიშვნელობა სოფლისათვის.** სოფლის კორესპონდენციებს კაცმა რომ თვალ-ყური ადევნოს, საზარელ სურათს დაინახავს: სოფელი უპატრონო და მიგდებულ-მიტოვებულია ყველასაგან.

აქ გზები ისეთებია, რომ მგზავრმა ზურგზედ გაბერილი ტიკები უნდა დაიკრას, რომ ტალახმა არ ჩასძიროს, ხიდ-ბოგირებზე გავლა ხომ ათასში ერთხელ თუ უხიფათოდ გათავდეს. იქ არ მოიძებნება წერა-კითხვის მცოდნე, და ხალხი იძულებულია ათას გაღლეტილს მატყუარებს დაენდოს, რასაკვირველია, მამასახლისთანაც დააწერინოს უბრალო თხოვნა, ან წერილი და სხვა. იქ ჩარჩმა ურია-სომეხმა ტყავი გააძრო ხალხს ყალბი სასწორ-საზომებით და უვარგისი საქონლის გასაღებით; ზოგან ცეცხლმა და წყალმა განუსაზღვრელი ზარალი მოუტანა სოფელს, როდესაც შეიძლებოდა სულ მცირე საშუალებით ამო[illegible] ზარალი, ან სრულებით ასცი[illegible] ხალხს თავიდგან, ან შესამჩნევად შემცირებულიყო. იქიდან ყვირიან, არიქა, გვიშველეთ, დავიღუპეთ, საქონელი ჭირმა ამოგვიწყვიტა და ჩვენც ლამის გავწყდეთ, ახალ-სოფლისაგანაო და სხვა-დასხვა. ერთის სიტყვით, აუტანელი და შემზარავი სურათი, სადაც იხატება კვნესა, გმინვა და სიბინძურე მცხოვრებლებისა, წარმოგვიდგებათ თვალ წინ. კაცი იფიქრებს, რა ვუყოთ, ეს ყველა აუცილებელი ნაყოფია ჩვენი დაქვეითებისაო, ეს ასე უნდა იყოს და სხვ... მაგრამ ნუ თუ, ხსნა არსაიდამ არის და ასეთ საზარელ მდგომარეობას საზღვარი არა აქვს? როგორ არა, ხსნა არის და ბევრ-ნაირიც. სხვაგან ნუ წავალთ, თითონ შიგ სოფელში მივიხედოთ. მაგალითად: რა მოხელეა სოფლის მამასახლისი? რამოდენა საქმე აწევს კისერზედ და რა ცოტას და ისიც უნაყოფოს აკეთებს. რიგიანი მამასახლისი სოფელში იგივეა, რაც რიგიანი მეოჯახე თავის ოჯახში. მამასახლისის მოვალეობაა მთელი თავისი ცოდნა და სინიდისი მოახმაროს თავის სამამასახლისოს კეთილ-დღეობას, ამ უკანასკნელს-კი ჩვენი ხალხისთვის შეადგენს ყველა ის, რაც გაუადვილებს და გაუფაქიზებს ხალხს ცხოვრებას: კარგი გზები, სავაჭრო დუქნების დაარსება სოფელში, სამკითხველოს დაარსება, პატარა აფთიაქის და ექიმის ან ფერშლის შენახვა, ცეცხლისაგან და წყალ-დიდობისაგან დაზარალებულთა დაზღვევა საურთიერთო თავდებობით, აღკრძალვა უსინიდისო ვაჭრების ხეტიალისა სოფელ-სოფლად, სინიდისიერი მწერლის ყოლა, დაარსება შესაფერი შემნახველ-გამსესხებლის კასისა, რომ მით შეეძლოს გაჭირვებულს კაცს ხელის შეწყობა და თავიდამ აცილება მევახშის ამოუვსებელ ყელში ჩავარდნისა, სახალხო საკითხავების და გასართობების გამართვა, სოფლის სანიტარულ მხრივ გასუფთავება, ძველი ჩვეულებების (ქელეხ-ქორწინების, ტირილის და გადაჭარბებული ქეიფობის) მოშლა-გაუქმება და სხვა. ყველა ამეების გაკეთება ძალიან ადვილია, არაფერ სამძიმოს არ წარმოადგენს არავისთვის, ვისაც-კი საქმე და ქვეყანა უყვარს. ხოლო შედეგი ამისთანა შრომა-მეცადინეობისა ისეთი დიდი და ძლიერია, რომ მამასახლისივე თავის სამსახურის სამის წლის შემდეგ ველარც-კი იცნობს თავისსავე სოფელს.

საჭიროა, მხოლოდ სიყვარული პატიოსნება და შრომა. მამასახლისი მამასახლისობიდამ კუჭის გაძღომას-კი არ უნდა მოელოდეს, პირიქით, უნდა ნათლად ჰქონდეს წარმოდგენილი, რომ სამი წლის მამასახლისობა განუწყვეტელი ნაყოფიერი შრომა და ჯაფაა! მას უნდა შეგნებული ჰქონდეს, რომ ხალხის ბედნიერი ცხოვრება მისივე სიამოვნება და ბედნიერებაა. ხალხის სიმდიდრე მისი სიმდიდრეა, გლეხი იყოს იგი, აზნაური, თუ თავადი. ერთი კაცი სოფელს ვერც ააშენებს და ვერც დაღუპავს,—ამბობს ხალხი,—მაგრამ სოფელი ერთ კაცს კიდეც დაღუპავს და კიდეც ააშენებს!.. განა ცოტა მაგალითებია ამისა?

ყველა რიგიანი მამასახლისისთვის აუცილებელია ზემოდ ხსენებულის გათვალისწინება და გადაწყვეტა, რომ ნაკისრ საქმეს ან უნდა მოერიოს და არა უარი განაცხადოს და სხვას დაუთმოს ალაგი სალვაწ-სამუშაოდ! სწორედ სამარცხვინოა, გასაწითლებელია სამი და მეტი წელიწადი ხალხში იყო, მას ემსახურებოდე, გეჭიროს უპირველესი ადგილი სოფლად და გადადგომის შემდეგ შენდა მოსაგონებლად გესმოდეს ხალხისაგან ლანძღვა-გინება ხალხის იმედების გაცუდებისათვის, საქმეების გაფუჭებისათვის. ვერ დაამჩნიო ხალხს შენი მუშაობა, მათ ქონება-გონებას არაფერი შესძინო. სწორედ ვერაფერი სახელია.

ხშირად შეხვდებით ყრილობაზედ, რომ მრავალ პირს გლეხს, თავადს და აზნაურს (მეტადრე სადაც ჯამაგირით არის სამსახური), სურს მამასახლისობა. რომ ჰკითხოთ, რათ უნდა რომელიმე მათგანს ეს მოხელეობა?—ის გაშტერდება კიდეც: როგორ შეიძლება ამისთანა კითხვების მიცემა, როცა ყველასათვის ცხადია მამასახლისობის მიზანი: ერთი რომ, მამასახლისი ხარ, მეორე რომ ჯიბეს გაისქელებ და მესამე რომ, ყველას თავში ჩაჰკრავ...

საჭიროა, ხალხმა შეიგნოს რაგვარი მამასახლისი ეჭირვება მას და თვით მამასახლისმა-კი რა მუშაობა სჭირია მამასახლისობას. თითონ ეს შეგნებაც დიდი რამ არის ეხლანდელ დროში, როცა „მოსე მწერლებს„ და მუცელ გაბერილ „სუდია-მამასახლისებს" სოფლის მოხელეობა კრეჭა-პარსვა ჰგონიათ და არა პატიოსნური სამუშაო ასპარეზი. ნამდვილი მამასახლისი საქმის გაკეთებით დაუფასებელ სარგებლობას დასთესს სოფელში და ხალხს კიდენ ლექსს გამოათქმევინებს თავის კეთილ მოღვაწეობაზედ!..

ვ.

⁂ **ექიმის ზ. ტარსაიძეს ნახვის მსურველი.** ირკუტსკის გუბერნიიდამ ამ დღეებში ჩამოსულა ერთი ნ. ა. დრუჟინინი, რომელიც ციმბირიდამ იმიტომ წამოსულა, რომ დოქტორს ტარსაიძეს მიჰმართოს თვალის ტკივილის საქიმოდ. ზ. ტარსაიძე ამ ჟამად ტფილისში არ იმყოფება და ამიტომ ნ. დრუჟინინი ელოდება აქ მისს ჩამოსვლას.

⁂ **სასამართლო.** 4 სექტემბერს, ტფილისის ოლქის სასამართლოს დროებითი განყოფილება დუშეთში გაარჩევს საქმეს დავით კეჩელის და ალექ. მახარაშვილისას, რომელთაც ჰბრალდებათ შაბურიშვილის მოკვლა.

⁂ **ფოთის ნავთ-სადგურის საქმე.** ქუთაისის გუბერნიის სამოქალაქო საქმეთა საბჭოს დაუმტკიცებია ფოთის საბჭოს განაჩენი 1,400,000 მ. სესხის შესახებ, რომელიც უნდა მოჰხმარდეს ნავთ-სადგურის გაფართოვებისა და გაუმჯობესების საქმეს ქალაქის საბჭოს დაუდგენია, რომ ამ სესხის ობლიგაციების ფულად ქცევა მიენდოს ,,ვაველბერგის და ამხ.'' ბანკს, რომელიც პეტერბურგში არსებობს და კიდევ ერთ-ერთს პეტერბურგის ბანკს, იმ პირობით, რომ 1 იანვრამდე ქალაქს უნდა მიეცეს ამ ანგარიშით 300 ათასი მანათი, ხოლო დანარჩენის თანხის ობლიგაციებს ვაველბერგი და ბანკი გაასაღებენ და ქალაქს ნაწილ-ნაწილად მისცემენ ბირჟის მოთხოვნილებისა დაგვარად. ათ თუმნიანი ობლიგაცია გაიყიდება 95 მ. კურსით.

⁂ **სავალდებულო სწავლება ქარხნებსა და სახელოსნოებში.** წელს ენკენისთვეში საერო განათლების სამინისტროს საგანგებო კომისსია შეუდგება იმ საკითხის განხილვას, თუ რა წეს-რიგით იქმნას შემოღებულ სავალდებულო სწავლება ქარხნებსა და სახელოსნოებში.

⁂ **ზემო სვანეთის სიღარიბის გამო.** ამ ჟამად ზემო-სვანეთის მკვიდრნი მეტის-მეტად გაჭირვებულს მდგომარეობაში არიან და არავითარს მეურნეობას იქ რიგიანი ფერი არა სძევს. ამის გამო ქუთაისის სამხედრო გუბერნატორს უთხოვნია ზ. მეურნეობის მინისტრის კავკასიაში რწმუნებულისათვის, რომ ამ გარემოებას ყურადღება ექმნეს მიქცეული, ფეხზე დააყენონ სვანეთში მრეწველობა, მეურნეობა და გამართონ ხალხის სათვალჩინოდ სამაგალითო მერძეობა. ზ. რწმუნებული თავის მხრივ ჰგზავნის აგრონომს ა. ს. ფირალოვს სვანეთში და მას დაევალება ზეჯითად შეისწავლოს ხალხის ეკონომიური მდგომარეობა, შეადგინოს გეგმა და ხარჯთ-აღრიცხვა მერძეობის ფერმისათვის და შესაფერი ადგილიც აირჩიოს.

⁂ **თ. წულუკიძის ასულის მოტაცების საქმე.** წარსულს ივლისში, ქუთაისის ოლქის სასამართლომ განიხილა და განაჩენი დასდო თ. წულუკიძის ასულის (ამ ჟამად აზნ. მდივანის მეუღლეა) მოტაცების საქმეზე. გაზ. ,,ჩერნ. ვესტ.'' შეუტყვია, რომ ეს განაჩენი განუსაჩივრებია ოლქის სასამართლოს ბრალმდებლის ამხანაგს ვ. ნ. ვოიტენკოს.

⁂ **გენერალ-ლეიტენანტის ა. ა. ფრეზეს დაბრუნება ტფილისში.** ზ. კავკასიის მთავარ-მართებლის თანაშემწე გენერალ-ლეიტენანტი ა. ა. ფრეზე დღეს ჩამოვა ტფილისში კოჯორიდამ.

⁂ **ახალი დანიშნულება.** ბაქოს ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის უფროსი სტატ. სოვ. კ. მ. ლინდენი გადმოყვანილ იქმნა ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის უფროსად.

⁂ **წმ. ნინოს დედათა სასწავლებელი.** რადგან დედათა წმ. ნინოს სასწავლებლები უფლებებით ეთანასწორებიან საქალებო გიმნაზიებს, ამის გამო სამოსწავლო მთავრობას განზრახვა აქვს გახსნას ტფილისის წმ. ნინოს სასწავლებელში მერვე დამატებითი კლასი, რომელშიაც წელს მხოლოდ ოც მოსწავლესათვის იქმნება ალაგი.

⁂ **საქონლის ჭირის საწინააღმდეგო ზომები.** 21 აგვისტოს, ზ. ტფილისის გუბერნატორს შემდეგი წინადადება მიუცია ქალაქის გამგეობისათვის საქონლის ჭირის შესახებ: ქალაქის განაპირებზე მდ. მტკვრის პირად მოამზადონ ორი ეზო — ფარდული საქონლის შესარეკად და ამ ეზოებში უნდა მოთავსდეს ყველა საქონელი, რაც-კი ქალაქში მოჰყავთ ხოლმე; და ეზოების მეთვალყურედ უკვე დანიშნულის ბეითალის ზ. მელქუმოვის მომხმარედ დაინიშნოს კიდევ ერთი ბეითალი; იყოლიონ საჭირო მუშები და გადასდონ ქალაქის თანხიდამ საჭირო ხარჯი დეზინფექციისათვის, რომელიც უნდა მოახდინონ ქალაქის ყველა იმ ალაგებში სადაც-კი საქონლის ჭირი აღმოჩნდება; ამ თავითვე მიიჩინონ საკმაოდ ვრცელი ადგილი ჭირით დახოცილის საქონლის ჩასაყრელად.

⁂ **ტფილისის სასულიერო სემინარია.** წელს, 1 ოქტომბერს, შესრულდება ოთხმოცი წელიწადი მას აქეთ, რაც ტფილისში სასულიერო სემინარია დაარსდა.

⁂ **ს. ჯურუყვეთი** (გურია). **მრუშობის დასჯა.** ამას წინად აქ მოხდა ერთი სამწუხარო და მასხა სასაცილო ამბავი: დ. ბ—ლმა თავისს ცოლსა და ნ. გიგ—ლს რაღაც სიბოროტე შეამჩნია და მერე დარწმუნდა მათს მრუშობაშიაც. ერთ ღამეს უდარაჯა და როდესაც დაინახა, რომ ნ. გ—ლი შევიდა მის ცოლთან, მყისვე მივიდა უკანა კართან, დაკეტა იგი და საჩქაროდ დაბრუნდა წინა კართან და შეჰყვირა, რომ ცოლს კარები გაეღო. ამ დროს უცბად გამოვარდა ნ. გ—ლი გარედ; ქმარი მივარდა ცოლის საყვარელს და კარგა ლაზათიანად აჭრელა ხანჯლით, და ბოლოს იმდენი ბეგვა, რომ ტიკისავით გახადა. მომრუშ ადვილად არის ალაგ-ალაგ სახსოვრად დაჭრილი. მერე ქმარი მისდგა ორგულ ცოლს და იმდენი სცემა მათრახით, სანამ თქვენ მიეშველებოდით. საქმე რით გათავდება ღმერთმა უწყის...

ნიკ. ალაიანცი.

⁂ **სოხუმი. „მოხერხებული ვაჭრობა".** აქ, სოხუმში, ვაჭრობს ერთი ებრაელი. როგორც ამბობენ, ეს ვაჭარი უწინ ძლიერ ღარიბად ყოფილა, მაგრამ ამ ხუთი-ექვსი წლის განმავლობაში მისთვის ბედს გაუღიმნია: გამდიდრებულა და დღეს მისი მაღაზია სხვა-და-სხვა ნაირ საქონლით არის გატენილი. ვაჭრობაც სხვებზე უკეთ გამართული და გაჩაღებული აქვს... რომ შეხვალთ ამის მაღაზიაში, უცბად თვალს მოკრავთ ფიცარს, რომელზედაც აწერია შემდეგი განცხადება რუსულად და ქართულად: „ფასები უვაჭრელად''-ო, ნიშნად იმისა, ვითომ საქონელს იაფად ჰყიდის და მცირედის სარგებლით რაღა!..

ამ ვაჭარს ჰყავს დიდი ხანია ერთი ჩვენებური ნოქარი, რომელიც ძალიან ერთგულია, თურმე, თავისს პატრონ-ბატონისა.

თუ რა ოინებს სჩადიან ეს ალა-ნოქარი, დაინახავთ შემდეგიდან: ალა-ნოქარი ითათბირებენ და აზრს გამოაწყობენ, თუ როგორ გაასაღონ ძველის-ძველი საქონელი, რომელიც თუ წელს არ გასაღდა, ორ ჩირადაც არ ეღირება, თურმე! შემდეგ რჩევისა გადმოაწყობენ უვარგისსა და ძველს საქონელს ბლომად და ჩააწყობენ სკივრებში (იაშიკებში) თითქმის ორი ათას მანეთზე მეტს ღირებულს, გამოაწყობენ ცალებად და გაჰგზავნიან ბათომში ნოქარის სახელზე. ამ საქონლის გამოწყობა-გაგზავნამდე მოიმხრობენ ერთს აქაურს მოხელეს, რომელსაც გაანდობენ თავიანთს ,,საიდუმლო საქმეს''. ესეც, რასაკვირველია, თანახმა გაუხდება. ადგება ნოქარი და თამასუქს მისცემს მოხელეს 700 მანეთისას პირველ მოთხოვნის ვადით და რიცხვი და თარიღი თამასუქში მოყვანილია ორის თვით წინა, ვითომ თამასუქს დრო გასვლია... ფულის მიმცემი ადგება, იმ 700 მანათს უჩივლებს მოვალეს, სასამართლოდან გამოიტანს აღმასრულებელ ბარათს; ამ დროს ნოქარი ბათომში მიდის, იქ დაიქირავებს დუქანს დროებით, მოწმობას აიღებს ვაჭრობისას და დაიწყებს ვაჭრობას—ჰყიდის იმ ძველის-ძველ საქონელს!.. აი ამ დროს მოხელე გამოუდგება უკან ნოქარს, მიუსწრებს ბათომში, სამოსამართლოს ბოქაულს წარუდგენს აღმასრულებელს ბარათს; ბოქაულიც, კანონისამებრ, ხელში აღმასრულებ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლის ბარათით და თან მოხელეც უცბად თავს დაეცემიან ნოქარს და საქონელს აუწერავენ, დაუჭერენ. დანიშნავენ საჯაროდ ვაჭრობას... დაინახავს თუ არა ხალხი ამისთანა ,,ვაჭრობას'', ბუზივით მიაცვივდება და ჰყიდულობენ ამ ძველის-ძველსა და უვარგისს საქონელს, ვითომ იაფად, რაღა!..

საზოგადოებამ რა იცის, ან მთავრობამაც რა უნდა იცოდეს, თუ რა ოინობას სჩადიან!.. აქ სასამართლოც მოტყუებულია და ხალხიც!..

ნოქარი-კი გულს ხელ დაკრეფილი, ნაღვლიანი, თითქმის მტირალი, გაიძახის: ,,ვაი შენ, ჩემო თავო, როგორ დავიღუპე! ამ ურჯულომ მომისწრო, საქონელი ვალში ამიწერა და ხუთ მანათიანს ორ მანათად მიყიდის..., ქე მაინც თქვენ, ძმებო—მიაშველს, თურმე, ხელს ხალხს,—ისარგებლეთ და იყიდეთ ეს საქონელი, ხომ ხედავთ რა იაფად არისო''!..

ამ სიტყვის გამგონე ხალხი იცოდებს საბრალო ნოქარს და ერთიმეორის ჯიბრით ყიდულობენ, თურმე, ამ უვარგისსა და ძველის-ძველს საქონელს... ამგვარის ხერხით გაასაღეს ორი-ათას მანათზე მეტი ღირებული საქონელი და ფულიც მოიგეს ხსენებულ ალა ნოქარმა... „მოხერხებული ვაჭრობა", მაშ რა არის?

სპირიდონ-ხან.

*** **სოფ. ხაშმი.** (გარე კახეთი). **შიშის ზარი ყაჩაღებისაგან.** ეხლა ხანია აქეთ მხარესაც იჩინეს თავი ყაჩაღებმა; ამას წინათ ხომ სამი ფურგუნი გაცარცვეს, იმის შემდეგ კიდევ რამდენჯერმე ენახათ გლეხებს ტყეში, ერთი გლეხისთვის გამოერთმიათ პური და ეთქვათ: არავის უთხრა, ჩვენი ამ მხარეში ყოფნაო. მეორე გლეხს, ხაშმელსავე, [illegible] ენახა ექვსი კაცი, თავით ფეხამდე შეიარაღებული, მთვარის შუქზე ლაპლაპებდნენო. მესამედ სხვა გლეხს ენახა ტყეში 9 კაცი. შეიარაღებულნი, ზოგნი თათრები არიან, ზოგნი ოსები, და ზოგიც ქართველებიო, ამბობენ მნახველები...

განსაკუთრებით, თურმე, ხაშმელებს ემტერებიან ყაჩაღები. ეხლა ხან ჩაფრებს ეთქვათ ხაშმელებისთვის: თუ ღმერთი, გწამთ ფრთხილად იყავით, რამე უბედურება არ შეგემთხვიონო... ამ გვარმა გაფრთხილებამ უფრო შიშში ჩააგდო გლეხები.

ყაჩაღების საწინააღმდეგოთ ივრის ხეობის სოფლეფიდგან მოწვევს მდევარი. სოფ. ხაშმიდგან [illegible] მოწვეული. მდევარმა უნდა იაროს ტყე-ტყე, გამოეცხადოს [illegible] მამასახლისს და ისევ ეგრე დაბრუნდეს უკან.

აბა, ახლა იკითხეთ, რანაირის იარაღით ამხედრებულა ყაჩაღებზედ მდევარი?—ჟანგიანის „სტონიანის" თოფებით, რომელთაც ჩახმახი სამჯერ რომ დააცემინო, თუ მესამედ გავარდა დიდი ბეჯაათია. ვსთქვათ გავარდა, უპრიანა უფალმა, ახლა გატენა არ უნდა?—ვიდრე ასტენამს კაცი მოპირდაპირე გულს იჯერებს ბერდანის ანუ აინალის ტყვიით.

— **ქურდ-ბაცაცები.** გაქცეული ყაჩაღები ერთის მხრით [illegible] შინაურმა ყაჩაღებმა დაგვავიწყეს, აქაური ქურდ ბაცაცანი ისე მარდად დახელოსობენ სხვათა ვენახში, რომ შენი მოწონებული; რაც მოისწროენ გაიტანენ. თუ მოასწრო პატრონმა, ღვთის წყალობა გაქვს, კაი დღეს დააყენებენ ხოლმე, მაგრამ გაბ ქურდი-ყაჩაღი ისეთ დროს შევა როცა პატრონი შიგ ეგულება? —მათაც დრო იციან. ამას წინად მ. ნ—ს კარის ბაღში გადაპარულა ერთი ვაჟბატონი და რადგანაც მ. ნ—ი სხვაგან ეგულებოდა, დაუწყო მორჩევა გულაბს. ზედ დატანებაზე მოევლო მოჯამაგირეს და ერთს სვა გოეხს; შესმენოდი თუ არა ფია-ფუჩი, შესულიყო ბაღში და დაეჭირა. ერთი ორიოდე უთაქა, მერე ტანისამოსი წაერთო, მამასახლისთან წაეყვანა საჩივლელად. ამ გვარი შემთხვევები მრავალია და საჭიროა მამასახლისმა სასტიკი ყურადღება მიაქციოს, ალაგმოს თავ[illegible] ქურდ ბაცაცათა საქციელი და ურცხვად არ გაქელონ ხოლმე სხვის ნაშრომ-საკუთრება...

— **მოსავალი.** ღვინის მოსავლებს კარგი პირი უჩანს, ვენახებს მშვენივრად ასხია, „ღვთის თვალი შიგ ტრიალებს". ვნახოთ, თუ ბუნებამ „პირი არ მოიქუშა", კარგ შემოსავალს მისცემს წლეულს ს. ხაშმს, სულს მოადგმევინებს იმ გლეხებსაც, რომელნიც სამი-ოთხი წლის განმავლობაში სიღარიბის ნატისუსალი ასდისთ...

ხაშმელი სოსიკა.

*** **დ. ახალ-სენაკი.** (აქაური რამე-რუმე) **ანგარიშის საჭიროა.** სწორედ იმ შემოდგომაზედ, როდესაც მთელი ჩვენი საქართველო დღესასწაულობდა ჩვენის სახელოვანის პოეტის რ. ერისთავის ორმოცდა ათის წლის სალიტერატურო მოღვაწეობას, ახალ-სენაკის ქართულ სცენის მოყვარეებმა აქ გამართეს წარმოდგენა რომლის შემოსავალიდგან რამოდენიმე ნაწილი, როგორც მსახიობნი ამბობდნენ, უნდა მიმატებოდა ჩვენის მხცოვანის პოეტის სახელზედ დაარსებულს ფონდს. ამ წარმოდგენაში, სხვათა შორის, მონაწილეობას იღებდა ქ-ნ ნატალია გაბუნიაცაგარლისა. მას აქეთ, თუ მეხსიერება არ მღალატობს, არავითარი ანგარიში არ ყოფილა გაზეთებში გვიკვირს და ვეღარ გაგვიგია თუ რა იქმნა ის ფული. ნუ თუ უჩინმაჩინის ქუდი დაჰხურეს ამ ფულს და დავიწყების გოდორში ამოაყოფინეს თავი? ურიგო არ იქმნებოდა, რომ ამ წარმოდგენაში მონაწილე მსახიობნი გამოაცხადებდნენ, რას მოხმარდა ის ფული, უკეთუ აზრათ ჰქონდათ ხსენებული ფონდის განდიდება.

— **ისევ საყანთროზე და წვერ ულვაშებიან მეჭურეებზე.** ამას წინედ გაზ. „ცნობ. ფურც-"ში დაბეჭდილ იყო წერილი შესახებ აქაური საყანლროს გადატანისა. სავალალოდ ჩვენდა, უნდა აღვნიშნოთ, რომ რაღაც დაუბოლავებელი ამბავი შეიქმნა ეს საყანთრო, ვერ იქმნა და ვერა ეშველა რა ამ საჭირბოროტოდ ქცეულს საქმეს. ნაცვლად დაშოშმინებისა დღითიდღე გაისმის ამ „პარტიების'' წარმომადგენლთაგან შემდეგი: «ხუთ ათას მანეთამდი რომ ავიდეს ამ საყანთროს საქმე—მაინც ბოლომდი უნდა ვსდიოთ''-ო. ნეტავი რათა? პასუხი ერთია—პირადი და კერძო მოგებაინტერესებისათვის და ვიწრო თავმოყვარეობისთვის, რომელმაც, საუბედუროდ, ძალზედ იჩინა აქ თავი. ახლა ვკითხოთ ერთს ბატონს: რა საჭირო იყო ბ. ტრ. კა—შვილის გინებით მოხსენება, როდესაც ,,ცნ. ფურცლის მე-270 №-ში დაბეჭდილი წერილი ეკუთვნოდა ისევ ამ სტრიქონების დამწერს, თქვენ უმორჩილეს მონას. რა ზნეობრივი და იურიდიული უფლება ჰქონდა იმ ვითომ და ,,ბობოლა-დეპუტატს'' არა საკადრისი სიტყვებით შემკული გვირგვინი ეძღვნა უდანაშაულო კორესპონდენტისთვის. ვარწმუნებთ იმ ბატონს, რომ ყველა იმ წერილში მოხსენებული სრული სიმართლეა და თუ ინებებს ყოველივე, კვალდა-კვალ გავარჩიოთ!..

— **დამდეგი კრების საყურადღებოდ** ყველას მოეხსენება, რომ წარსული წლის ნოემბერში გაძლიერებულმა სტიქიონმა იმსხვერპლა აქაური სასულიერო სასწავლებელი. დღეს იგი მოთავსებულია თ. ფ. ღ. მხეიძის შენობაში, მაგრამ სამუდამო ბინა არ აქვს მიჩნეული (თუმცა ლა სენაკმა ბევრი ხანია რაც საკლასო ბინა დაუთმო). ზოგს სოფ. მარტვილისაკენ სურს სასწავლებლის გადატანა, ზოგს სოფ. ძველ-სენაკისკენ და სხვ... უპირატესობა და პირველობა დ. ახალ-სენაკისა ზემოხსენებულ სოფლებთან—ანბანური ჭეშმარიტებაა და ამაზედ სჯა მეტია. ამ თვის 22 დანიშნულია კრება სამეგრელოს სამღვდელოებისა შესახებ სასწავლებლისა და ზოგიერთი საქმეებისა. იმედია, ჩვენი პატივცემულნი მამები ღირსეულად მოეკიდებიან ამ საქმეს და აჭურვილნი საზოგადო და საკეთილ დღეო ინტერესებით საიმედო ნიადაგზედ დაამყარებენ მას. ხმა დადის, რომ უწმინდესს სინოდს დაუმტკიცებია სასწავლებელი ჩვენს დაბაში, მაგრამ უტყუარი ჭეშმარიტების ხასიათს ამ ხმას ჯერ-ჯერობით ვერ მივცემთ. ვისურვებთ, რომ გამართლებულ იყოს.

სხვათა შორის, ურიგო არ იქნებოდა პატივცემულმა მამებმა აღძრან კითხვა შესახებ შეცილებითი (КОНКУРСНЫЙ) გამოცდისა, ურომლისად აქაურს არ იღებენ ქუთაისის და ტფილისის სემინარიებში, რუსეთში შვილების აღზრდის ხარჯის გამოღება ჩვენს უიმისოდაც ღარიბს სამღვდელოებას არ შეუძლიან. ურიგო არ იქმნება რამე იღონონ და უებარი წამალი დასდონ ამ საქმეს.

ფასტიოლლი.

*** **კახეთი. გაზაფხულის მოსავლის რაოდენობა.** წელს თითქმის მთელს კახეთში ძლიერ ნაკლები იყო პურისა და ქერის მოსავალი, მაგრამ, მაგიერ ამისა, სიმინდისა და ფეტვის ისეთი მოსავალია, რომ კარგა ხანია ასეთი მოსავალი აღარ უნახავთ კახელებს; ვენახებიც ბევრგან ძლიერ კარგია, განსაკუთრებით ნაწამლი ვენახები. ს. ახაშენში ხომ ისეთი მშვენიერი ღვინის მოსავალი იქნება, რომ უკეთესი თითქმის წარმოუდგენელია. კარგია აგრეთვე ველისციხეშიაც და ადგილ-ადგილ ჩუმლაყსა და გურჯაანში.

*** **ს. მისაქციელი** (ქართლი). **ახალი ეკკლესია.** კეთილმა მანდილოსანმა ბაქრაძისამ ეკკლესია აგვიშენა, 3,500 მან. დახარჯა. ეკკლესიის მღვდლობას სოფ. ნატახტარის მღვდელი ასრულებს.

— **აქაური ბეგარა.** ჩვენ, რადგანაც საქართველოს სამხედრო გზის პირას ვდგევართ, ამიტომ ჩვენი ურმები და ხალხი სახელმწიფო ბეგარაზე ხშირად მიჰყავსთ, რომელთაც ურმებით ჯარი გადაჰყავსთ და გადმოჰყავსთ. შორეული სოფლები-კი ამისაგან თავისუფალნი არიან.

— **გაუნათლებლობა და უვიცობა.** ჩვენში წერა-კითხვა ერთობ დაცემულია; მთელს სოფელში ერთმა კაცმა არ იცის წერა-კითხვა; ამ სოფელს გარდა ნატახტარს, ნავაზას და ქოპორტაშიაც ასევეა. თვით მამასახლისებმაც არ იციან წერა-კითხვა; ჩვენთვის ერთი სკოლა დიდს საჭიროებას შეადგენს, მაგრამ ჩვენ როგორ შევძლებთ ამის გამართვას, როცა ცხოვრებაც გვიძნელდება ბევრ ნაირ სამსახურისაგან. ახლა იმედი გვაქვს, რომ ჩვენს წყალ-წაღებულს მდგომარეობას ჩვენმა მამა მოძღვარმა ივ. ტაბლიაშვილმა მაინც მიაქციოს ყურადღება და პატარა სამრევლო სკოლა დაგვიარსოს, თითო-ოროლა ბიჭს წერა-კითხვა ასწავლოს, იქნება მერე ამ ბიჭების მეოხებით სხვებმაც ისწავლონ.

მგზავრი.

*** **დ. სამტრედია. საბანძური.** ეს ჩვენი ციებ-ცხელებიანი და დახშულ ჰაერიანი დაბა გარეგნობით მშვენივრად მორთულია: ლამაზი მაღაზიებით, სახელოსნოებით, აფთიაქით, აფთიაქის მაღაზიით. სამკითხველოით, წიგნის მაღაზიით და სხვათი.—250-მდე სხვა-და-სხვა დუქნებია.

ქუჩებში გავლა კაცს აღარ შეუძლია, რადგანაც ყოველთვის უსუფთაობის და უყურადღებობის გამო ქვიშის მაგივრად ნეხვით მოკირწყლულია. დიდად გასაჭირია ქუჩებში გავლა წვიმის შემდეგ, როცა მზე დააცხუნებს ხოლმე, ნეხვი და სხვა სიმყრალე ლპება და საშინელი სუნი სწამლავს აქაურობას.

საჭიროა ამ უკიდურესს საჭიროებას ყურადღებას მიაქცევდეს ვისიც ჯერ არს.

— **უქიმობა.** არ იქნა და ვერ ველირსენით ერთს იმისთანა ჩვენებურ ექიმს, რომ რამოდენიმე წელი დაჰყოს მაინც ჩვენს დაბაში. ამ ორის წლის წინად აქ ექიმად იყო სერგეი მესხი და თავისისავე თხოვნით რკინის გზაზე იქმნა დანიშნული, სადღაც ბაქოს გუბერნიაში. გავიდა ერთი თვე და ჩამოვიდა ექიმი მიხეილ ლორთქიფანიძე, დაჰყო 6 თვემდე და ესეც გადაყვანილ იქმნა ართვინში. როგორც ბ. მესხმა აგრეთვე ლორთქიფანიძემ ხალხის ყურადღება დაიმსახურეს. მას აქეთ ერთი წელიწადი გადის, რაც აქ ექიმი აღარ გვინახამს. თუ ვინმე ავად შეიქმნა სამკურნალოდ ს. კულაშში უნდა წავიდეს, რომელიც ხუთი ვერსის მანძილზე მოშორებულია დაბა სამტრედიაზე. იქ არის ერთი საზღვარ გარეთელი ექიმი, მაგრამ მაგარი ის არის, რომ ყველა ვერ მიდის მასთან და ვერც აგებინებენ თავის სატკივარს. უთუოდ საჭიროა ვინმე ჩვენებური ექიმი მოწვეულ იქმნას, სირცხვილი-კი არის, რომ კულაშს ჰყავდეს ექიმი და ამოდენა დაბას-კი არა.

— **სიმინდის ფასის აწევა.** იქნება ეხლა მოგვიბრუნდეს ბედი ამ ერთი თვის წინად ფუთს სიმინდში 29—30 კ.-ზე მეტის მომცემი აღარ იყო. ეს ერთი თვეა რაც რომ სიმინდის ყიდვას მიჰყვეს ხელი და ფასიც აიწია 40 კაპიკამდე და იმედიც არის რომ კიდევ მოიმატოს ფასმა.

— **მეფურნეთა საბანძური.** აქაურ სომეხთ მეფურნეთა გამომცხვარი პურის ჭამა შეუძლებელია, რადგანაც შიგ მრავალ გვარი ხაჭოებია ჩართული, თითქო ხაჭაპურიაო. პურის ფქვილმა ფუთზე ორ აბაზამდე აიწიაო და აქაური მეფურნეები ისევ წინანდელ იაფ ფასში ჰყიდიან ერთმანერთის ჯიბრით. საჭიროა პურის ნიხრის დამტკიცება.

— **ვაჭრობა კვირა-უქმე დღეს.** ამას წინად აქაურ დაბის მცხოვრებლებმა განაჩენი დაადგინეს და ხელი მოაწერეს, რომ კვირა-უქმი დღე წირვის დროს დავკეტოთ დუქნები. მაგრამ საუბედუროდ ზოგიერთი განაჩენს არ უყურებს და წირვის დროს ვაჭრობა აქვს გაჩაღებული ჩუმად.

გ—ი ტ—ძე.

*** **ს. ზანა** (სამეგრელო). **აქაურების დაქვეითება და ჩამორჩენა სწავლა განათლებაში.** ს. ზანა მდებარეობს ზუგდიდის მაზრაში და არის ორი: პატარა და დიდი ზანა, რომელიც შეადგენს ერთს დიდ-ზანის საზოგადოებას, სადაც სცხოვრობს ხუთასი კომლამდის კაცი, მათ შორის ოცდა ათი კომლი თავადიშვილები. ერთი შტატის ეკკლესია დგას დიდ ზანაში, სადაც მსახურობენ პირველი მღვდელი ბლაღოჩინი კ. ბერიძე და მეორე მღვდელი ი. ცავა, პატარა ზანაში ზედ-მიწერილი ეკკლესია, სადაც მსახურობს მღვდელი ა. ჯავახია. დიდ-ზანაში არის აგრეთვე სხვა და სხვა დაწესებულება: სასოფლო დაწესებულება: სასოფლო სასამართლო, აფთიაქი, სამინისტრო სკოლა და რამოდენიმე დუქანი. ამ დუქნების წინ-მინდორზე ყოველ კვირა-უქმე დღე და პარასკეობით მთავრობისაგან დანიშნულია ბაზრობა, მაგრამ, ჩვენდა საუბედუროდ ერთ კაცსაც ვერ დაინახავთ, რომ რამე გასაყიდი ჰქონდეს და თუ რამე ექმნა, იმასაც მამა-სისხლად აფასებენ.

ზევით ვსთქვით, რომ სამინისტრო სკოლა არსებობსო, მაგრამ ნუ თუ მარტო სამინისტრო სკოლას შეუძლია დააკმაყოფილოს სულიერი მოთხოვნილებით ხუთასი კომლი კაცი? სწორედ რომ შეუძლებელია.

ხალხი იმდენად უვიცია, რომ ვერ მოუხერხებია დაარსოს სამრევლო სკოლა და სამკითხველო. ამისთვის საჭიროა თავი! აბა, რას გვიკეთებენ ჩვენი აქაური ინტელლიგენტები, თუ ამისთანა საქმეში არ დაგვეხმარებიან არა ერთხელ ჰქონ[illegible] ბიბლიოთეკის დაარსების შესახებ მოლაპარაკება, მაგრამ, როგორც მოგეხსენებათ ჩვენებურების ამბავი, პირველად აფართაშდნენ, ეგონათ ერთ თვეში ბიბლიოთეკას დაარსებდნენ, მაგრამ ამაოდ; სიტყვა-სიტყვად დარჩა, სურვილი-სურვილად, საქმეს კი—არაფელი ეშველა. თვითონ მე ვეკისრებდი ამ კეთილ საქმეს, მაგრამ ჩემი საქმეებისა გამო სხვაგან ვარ და გარდა შორიდან შემწეობისა ვერას შევსძლებ. ნუ თუ არ შეუძლია ბლაღოჩინი ბერიძეს, მღვდლებს, მასწავლებელს, აქაურ თავადიშვილებს და სხვა შეგნებულ პირთ ითავონ ეს სამადლო საქმე? თუ კი რომელიმე აქ დასახლებულ

პირებთაგანი (უფრო კი მასწავლებელს ბ. ხუბულავას შეჰფერის) იკისრებს, იმ შემთხვევაში იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მართლაც მოკლე ხნის განმავლობაში გვექნება წიგნთსაცავი სამკითხველო, რაც აუცილებელ საჭიროებას შეადგენს. მე ჩემის მხრით გადამიდვია სამიდან ხუთ მანეთამდის, სანამდის შეძლება ნებას მომცემს ფულით იქნებ, თუ სხვა რამ ნივთებით. იმედია აგრეთვე ახალი მაზრის უფროსი, როგორც სხვა საქმისთვის ერთგულად მოუკიდია ხელი, ისე ამასაც შემწეობას აღმოუჩენს, რადგან მის საუფროსოში, თითქმის, არსად არ არსებობს სამკითხველო, ან და სირცხვილი არ არის, რომ ამდენ თავადიშვილებს და შეგნებულ პირთ ბიბლიოთეკა არ ჰქონდესთ—ვერ დაეარსებინოთ! ნეტავი, სახლს ვერ ვიშოვნიდეთ მუქთად და შემწე პირებს ქე მაინცა!...

გურულ—მეგრელი.

⁂ **ს. ჯიქთომა** (იმერეთი). **კეთილი განზრახვა.** ჩვენ არც სამრევლო სკოლა გვაქვს და არც სახალხო სამკითხველო, რაც ყოველ გულ-შემატკივარს მწარედ აფიქრებს. რამდენჯერმე იყო კრება ჩვენს სოფელში, მამა მღვდლის ს. კალაძის თაოსნობით, სამრევლო სკოლის დაარსების შესახებ, მაგრამ ზოგიერთთა პირადი ინტერესების მიხედვით და ცბიერებით არ ეღირსა განხორციელება.

სახალხო სამკითხველოს დაარსება კი აქამდის არავის ფიქრადაც არ მოსვლია და თითქმის ხსენებაც არ ყოფილა, მხოლოდ ამ მოკლე ხანში, როგორც შევიტყეთ სარწმუნო პირიდგან, ბ. რაჟდენს კახიანს განუზრახავს ს. ჯიქთომაში უფასო სამკითხველოს დაარსება.

მართლა თუ ამ პატივცემულმა პირმა იდვა ეგ საქმე თავზედ, და მოინდომა, დიდი დაბრკოლებაც რომ შეხვდეს, მაინც ამ საჭირ-ბოროტო საქმეს განახორციელებს, რაც დიდად სასარგებლო იქნება, არა მარტო ჩვენის სოფლისთვის, არამედ სხვა მახლობელ სოფლებისათვისაც, სადაც არ არსებობს სახალხო სამკითხველო.

ნოე ჯიქთომელი.

⁂ **სოფ. ქვემო-მაჩხაანი.** (ქიზიყი) **მშვიდობიანი დღეობა.** ჩვენი სოფლის მახლობლად სამ ვერსზედ მდებარეობს სოფ. ბოდბისხევი, სადაც ყოველ წელიწადს, 15 აგვისტოს იმართება დღეობა, მარიამობა. ამ დღეობაში დიდძალი ხალხი იყრის თავს ეკკლესიასთან. წირვის გამოსვლამდის იმართება ცეკვა თამაშობა ზურნა-დუდუკ-დაირაზედ. წირვის შემდეგ იშლება ხალხი და მიეშურებიან თავიანთ ნათესავ-მეგობრებთან, სადაც მათთვის მომზადებულია სადილი. მოუსხდებიან მალხინებელი სითხეთი სამსე ჯიხვ-ყანწ-აზარფეშა-ჯამ-ჰიქებით აჭრელებულ სუფრას და გაისმის ,,მრავალჟამიერ''-საქართველოს გაუმარჯოს'' ხმა. სადილის შემდეგ ისევ იმართება მასპინძლის ეზოებში ცეკვა-თამაშობა, ცეკვას მოსდევს ცემა-ტყეპა და მასთან ხანჯლის ტრიალიც ღვინოს მოტრფიალის შორის. ბევრი ბრუნდება თავ-პირ—ჩამტვრეული სახლში. მაგრამ სამაგიეროდ წელს 15 აგვისტოს დღეობამ მშვიდობიანად ჩაიარა. ხალხი ცოტა დაესწრო დღეობას. მოწყენილობა სუფევდა, ეკკლესიის ეზოში აღარ ისმოდა. ზურნა-დუდუკის ხმა დამსწრეთ მხოლოდ ერთი სოფლელი მეფანტურელა ამხიარულებდათ თავისის შალაშინ წაუსმელის ლექსებით. სოფელში აღარ ისმოდა მრავალჟამიერის ხმა. რასაკვირველია საღამოც იშვიდობიანი და წყნარი იყო. თავი და თავი მიზეზი ის იყო, რომ აქაურმა გლეხმა და აზნაურმა ვერ მოიწვიეს სადილად ნათესავ მეგობრები, ან როგორ უნდა მიიწვიონ სტუმარი, როდესაც სახლში ერთი ჰიქა ღვინო არ მოეპოვებათ და ქვევრებში ბაყაყებს ,,გალობა'' გაუმართავთ. ნეტავ სულ მოისპობოდეს ჩვენში ამ დღეებზედ უაზრო და გადაჭარბებული ხარჯი. ვინ მოსთვლის, რა სიკეთე მოჰყვება ასეთს გონივრულ ყაირათობას!..

— **წარმოდგენის მოლოდინში.** ამ ზაფხულში სამჯერ გამართეს წარმოდგენა, ერთი საქველ მოქმედო აზრით და ორი უფასოდ. სამთავე წარმოდგენამ საუცხოვოდ ჩაიარა. ხმა არის, რომ დ. აწყურელი აპირებს კიდევ წარმოდგენის გამართვას სოფ. ქვემო-მაჩხაანში. წარმოდგენაში მონაწილეობას მიიღებენ: თვით დ. აწყურელი, მისი ძმა და ნ. ხოსიტაშვილისა. გულით და სულით ვისურვებთ აწყურელის მალე და ჩქარა მოსვლას თელავიდგან. რათა დაეტკბოს კიდევ ქიზიყი თავისს ხელოვნურის თამაშობით.

ილ. თამარციხელი.

ბათომი. კაცის დაჭრა. 19 აგვისტოს მეყავახანე ვასილ კოლმაგოროდსკი დანით დაუჭრია თავისსავე მოსამსახურეს სისო ჯიქიას და დაჭრილი მძიმე ავად-მყოფია, თურმე. აი როგორ ყოფილა ეგ ამბავი: აღნიშნულს რიცხვს საღამოს 11 საათზე, მეყავახანეს და მისს მოსამსახურეს ფულის ანგარიში ჰქონიათ; მეყავახანეს ნაკლები შეუძლევია მასზე რაც ერგებოდა ჯიქიას; ამაზედ ასტეხიათ მითქმა-მოთქმა, ჩხუბი და, ბოლოს, გაჯავრებულს მოსამსახურეს აუღია დახლიდამ დანა და მუცელში ჩაუკრავს თავის ბატონისათვის, რომელიც მაშინვე სამხედრო საავადმყოფოში წაუყვანიათ.

ამაზე ,,ჩერნ. ვესტ''. ამბობს: დროა ადგილობრივ მკვიდრთ ალეკრძალოთ იარაღის ტარებაო. ახირებულია, სად იარაღი და სად—მედუქნის დანა.

მცირე შენიშვნა

(ბ-ნ ი. მარგიანის წერილის გამო იხ. „ივერია“ 171).

ბ-ნო რედაქტორო! გთხოვთ ამ ჩემს მცირე შენიშვნას ადგილი დაუთმოთ თქვენის გაზეთის ერთ-ერთს მახლობელს №-ში.

„ივერიის“ 171 №-ში მოთავსებულია, «წერილი სვანეთიდან“, რომელშიაც ბ. ი. მარგიანი მოგვითხრობს, სხვათა შორის, რომ „28 ივნისს, როდესაც გზას აკეთებდნენ, უშხარ-მაზარის ქვის ქვეშ ორის ადლის სიღრმეში ჰნახეს 21 ნაჭერი სხვა-და-სხვა გვარი ნივთი''. (სატეხი, ხანჯალი, ლახვარი, ორი სათმარი ნაჯახი და სხვა ნივთები, ზოგი, ნივთები დაჭრელებულებია თურმე.) როგორც სჩანს ავტორის ამ წერილიდან, ძველ დროს უნდა ეკუთვნოდნენ ეს ნივთები და ავტორისავე სიტყვით ,,არხეოლოგთათვის გამოსადეგი თუ არა, საინტერესო მაინცაა''-ო.

ყველა ქართველის მოვალეობაა, რომ ძველი ნივთები, საგნები, თუ ხელთ ნაწერები იქნება, — გამოუგზავნონ ჩვენს ერთად ერთს ძველის ნაშთთა შემკრებელ-დამცველ დაწესებულებას აწინდელ თუ არა, მომავალს ისტორიკოს—არხეოლოგთა სამუშაო მასალათ მაინც.

ეჭვი არ არის, ბ. მარგიანი უყურადღებოთ არ დასტოვებს აღძრულ საგანს და ეცდება ნივთები გადმოსცემინოს წ. კ. საზოგადოებას, სადაც გროვდება და ინახება ასეთი ძველი ნაშთები...

ი. იმედ-ი.

პოლიციის მატიანე

ცემა და გაძარცვა. პოლიციის მე-5 ნაწილში გამოაცხადა ქ. ახალციხის მკვიდრმა დროებით ტფილისში მცხოვრებელმა ბინო ბანინაშვილმა რომ ამ დღეებში მე, ჩერნიგოველი ქალის. და ამხანაგი კარაპეტა, რომლის გვარიც არ იცის, წავედით ფაეტონით დიდუბის იქით ერთ დუქანში. იქ დავიწყეთ ქეიფი, რომელშიაც შემოგვიერთდნენ მეეტლე და დუქნის ორი მოსამსახურეო. ქეიფის შემდეგ მინდოდა მედუქნესთან გავსწორებულიყავი, მოვითხოვე ანგარიში, ამოვიღე ფულის ქისა და ფულის მიცემას ვაპირობდი; ამ დროს მომვარდა კარაპეტა და დამიწყო ცემა; მას მიეშველნენ მეეტლე და დუქნის ორი ბიჭი, სამთავემ იქამდე მცემეს სანამ უგრძნობელი არ გავხდი. გონს რომ მოვედი, ვნახე ჩემი ქისა, რომელშიაც 2,100 მანათი იდო აღარა მაქვს. ბინინაშვილი უჩივის ხსენებულ სამ კაცს გაცარცვაში. დამნაშავეების დასაჭერათ პოლიციამ მიიღო საჭირო ღონე.

—

საზიზღარი ბოროტ მოქმედება. 19 აგვისტოს პოლიციის 9 ნაწილში ტფილისელმა ვაჭარმა სიმონ მატინიანცმა გამოაცხადა, რომ ტფილისელმა მოქალაქე არშაკ ხჩატუროვმა და სიღნაღელმა ნასყიდა ხჩატუროვმა იხმარეს ძალდატანება ცამეტი წლის ბავშვზედ შორაპნის მაზრის მცხოვრებელ სერგო ნადირაძეზედ. ნასყიდა ხჩატუროვი დაიმალა, გადაეცა არშაკ მე-3 განყოფილების გამომძიებელს.

სამეცნიერო ამბები

გალობის გავლენა კაცის ჯან-საღობაზედ. ექიმმა ბარსმა გამოიკვლია გალობის მნიშვნელობა კაცის სხეულზედ. გამოდის, რომ სიმღერა, ხმის მოძრაობა ძალიან მოქმედობს ჯან-საღობის განსაკარგებლად. უმთავრესი გავლენა სიმღერას ფილტვებზე აქვს. სიმღერის დროს მომღერალმა უთუოდ უნდა ბევრი ჰაერი დაიგუბოს ფილტვებში, ბევრი ჰაერი-კი ფილტვებს ამოძრავებს. ჩვეულებრივ სუნთქვაში ფილტვები ისე ვერ გაიბერებიან და ისე ვერ შეიწურებიან, როგორც სიმღერის დროს. ამით, რა თქმა უნდა, ვითარდება თითონ ფილტვები, მკერდი და ყელიც. როცა ფილტვებში ბევრ ჰაერს დაიგუბებ, ნება-უნებურად უნდა ტანში გაიშალო სწორედ დადგე. ხშირი სიმღერა ტანს ასწორებს. სიმღერა ავითარებს და მოქნილათ ხდის გვერდებს და ნეკნებს.

სიმღერას აგრეთვე დიდი მნიშვნელობა აქვს სისხლის მოძრაობაზედ ფილტვებში. რაც უფრო ღრმად ჩაისუნთქავ,— სისხლი იმდენად ჩქარა მოძრაობს ფილტვებთან და გულთან; სისხლის ჩქარი მოძრაობა-კი სიჭლექისაგან იცავს ადამიანს. გამოცდილია, რომ მუნჯ-ყრუები ხშირად ხდებიან ჭლექით ავად, რადგან ლაპარაკ-სიმღერით ფილტვებს და სისხლის მოძრაობას არ ავარჯიშებენ. ხოლო გამოცდილობით ცნობილია, რომ მომღერლები ძალიან იშვიათად ხდებიან ხოლმე ჭლექით ავად.

სიმღერის შემდეგ კაცი ყოველთვის ჭამის მადაზეა; ცხვირის ნესტოები ჰაერისთვის უფრო ახსნებიან, სმენა ვითარდება.—ერთი სიტყვით, სიმღერა შესანიშნავ კარგათ მოქმედობს ჯანსაღობაზედ და ამიტომ ექიმი ბარსი ურჩევს ყველას, რაც შეიძლება ხშირად ივარჯიშოს ხოლმე სიმღერაში.

სხვა და სხვა ამბები

რაოდენობა ქალაქების მცხოვრებთა. ამ საუკუნოში მცხოვრებელთა რიცხვმა ორჯელ იმატა შემდეგ ქალაქებში: ამსტერდამში, ბირმინგამში, ბრიუსელში, მანჩესტერში და რომში; ოთხჯერ იმატეს—პრაგაში, ლიონში, პეტერბურღში, პარიზში და ლონდონში; სამჯერ—კოპენჰაგენში და მარსელში; ხუთჯერ დრეზდენში, კელნში, ბრესლავში, გამბურგში და ვენაში; ექვსჯერ ლიდსში, ლივერპულში და ვარშავ შვიდჯერ მიუნხენში; ცხრაჯერ—ლეი ციგში, ბუდა-პეშტში და ბერლინში ნიუ-იორკში და ფილადელფიაში ოც ხუთჯერ იმატა ერთ საუკუნეში. ჩიკაგოში 245-ჯერ და ბრუკლინში 339-ხოლო თფილისში 7 ჯერ.

განცხადებანი

ანბანი
ქართული გოტიკური
ფასი ერთი შაური
იყიდება ყველა ქართულ წიგნის მაღაზიებში. (50--15)

ვ. გუნიას გამოცემანი
დრამები და **კომედიები** I წიგნი (იბეჭდება) ფასი 50 კ.
დრამები და **კომედიები** II წიგნი — — 50 კ.
მიწერ-მოწერის კრებული სრული და ვრცელი— 40 კ.
მიწერ-მოწერის კრებული სახალხო გამოცემა— 15 კ.
ქართული თეატრი სცენა და მწერლობა— — 40 კ.
საქართველოს კალენდრები (დასურათებული)
(წარსულის წლებისა)
1893, 1894, 1895. 1896 წლებისა თვითო წიგნი 20 კ.
ვინც პირდაპირ გამომცემლისაგან გამოიწერს, ფოსტის ხარჯს არ იხდის.

ბუღალტერიის შესწავლა
ვისაც საფუძვლიანათ ჰსურს შეისწავლოს
სრული კურსი ბუღალტრიისა სამის თვის განმავლობაში, შეუძლიან მიჰმართოს ტფილისის საურთიერთო სამეურნეო ბანკის უფროს ბუღალტერს **ი. ია. ბრონ ფონ-ბრენერს.**
ფასი მთელის ბუღალტერიის საფუძვლიანათ შესწავლისა 60 მ.ნ.

КУРСЪ БУХГАЛТЕРІИ.
состоящій изъ слѣдующихъ предметовъ:
1) **Бухгалтеріи** двойной итальянской по разнымъ отраслямъ торговой промышленности.
2) **Коммерческой ариѳметики** (банковыя и торговыя операціи,;
3) **Арифметики на счетахъ,**
4) **Коммерческой экономіи,**
5) **Торговыхъ и вексельныхъ** узаконеній, —преподаетъ И. Я. БРОНЪ ФОНЪ-БРЕННЕРЪ, гл. бухгалтеръ Тифл. общ. взаим. сел.-хоз. кредита и препод. **школы садоводства.**
ПЛАТА ЗА ВЕСЬ КУРСЪ 60 РУБ.
Курсъ 3-мѣсячный, при ежедневныхъ занятіяхъ, въ теченіе 2 хъ часовъ, по вечерамъ. Начало занятій—1-е числа каждаго мѣсяца. **АТТЕСТАТЫ за успѣшныя занятія отъ реальнаго училища и школы садоводства.**
Составленная И. Я. Бронъ Фонъ-Бренеръ книга «Коммерческая ариѳметика» содержитъ въ себѣ VII отдѣловъ: 1) ариѳметич. вычисленія на счетахъ, 2) монетныя вычисленія, 3) товарныя сдѣлки, 4) вексельныя операціи, 5) торговыя товарищества, 6) банки и ихъ операціи, 7) биржевыя операціи (5 задачъ и таблицы). Цѣна 2 руб. **Продается во всѣхъ книжныхъ магазинахъ и у автора: Михайловская ул., д. № 71, и Барятинская, сельско-хоз. банкъ.**
(100--63

Дозволено цензурою. Тифлисъ, 22 Август. 1897 г. სტამბა ქჴ. ი. ხელაძისა, ლორის-მელიქოვის ქ., № 28. რედაქტორ-გამომცემელი **ვალ. გუნია**